N 17913/1
13/11/2020

17913-1-2-202011131205

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

**ბატონო ლევან,**

გაცნობებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას", ქ. ყვარლის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილი აქვს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია სკოპინგის #105 დასკვნა (31.10.2019).

სკოპინგის დასკვნის პირობებისა და საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, შემდგომში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ გარემოსდაცვით დოკუმენტაციას:

1. ქ. ყვარლის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზ;
2. ქ. ყვარლის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 2 ეგზ;
3. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ;


საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

4. საპროექტო ტერიტორიის Shape ფაილები;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
6. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილია, როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული ვერსიის სახით.

საკონტაქტო პირი: ლიზა ჩოველიძე
გარემოს დაცვისა და ნებართვების დეპარტამენტი
ელ.ფოსტა: l.chovelidze@water.gov.ge
ტელეფონი: +995 599 91 30 30

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში